

„შეთანხმებულია“
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
რეგიონული და ახალგაზრდული ფეხბურთის
განვითარების განყოფილების უფროსი

გ. თამაზაშვილი



„ვამტკიცებ“
თბილისის ფეხბურთის ფედერაციის
პრეზიდენტი

გ. ცაავა



2018 წლის თბილისის ლიგის
რეგლამენტი

1. მიზანი და ამოცანები

- ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია;
- საფეხბურთო გუნდებისთვის რეზერვების მომზადება;
- საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
- 2004 და 2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- 2.1. - თბილისის თასის გათამაშებას ხელმძღვანელობას გაუწევს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია.
- 2.2. ლიგაში სათამაშოდ დაშვებული იქნებიან: თბილისის და თბილისის რეგიონის სკოლების გუნდები. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური ფედერაციების თხოვნის საფუძველზე, თბილისის თასზე დაიშვებიან რეგიონების გუნდები და ყველა მატჩს ითამაშებენ სტუმრად თბილისში.

3. მონაწილე გუნდები

- 3.1 თფფ-ს მიერ ორგანიზებულ თბილისის ლიგის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საფეხბურთო სკოლების და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის გუნდები. ორ ასაკობრივ ჯგუფში, 2004 და 2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამოვლინდებიან გამარჯვებულები. 2006, 2007, 2008, 2009 და 2010 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამარჯვებულები არ გამოვლინდებიან.
- 3.2. თბილისის ლიგის ყველა ასაკში ტურნირი ჩატარდება ორ წრედ.
- 3.3. მატჩების ხანგრძლივობა: 2004 – 70 წუთი. 2005 – 60წთ. 2006-2007-2008 – 50 წუთი. 2009 - 2010 – 40წუთი. ყველა შესვენება გრძელდება 10 წუთი.

